# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 52 — კვირა, 4 აგვისტო 1902 წ. — გაზეთის № 1887.


## რ ა ხ ი ლ ი

(ვუძღვნი ე—ს.)

### I

მზე ჩადის. დედა-მიწის მეფე თან და თან შორდება ქვეყნიერებას და სრულიადაც არა ფიქრობს იმაზე, თუ როგორ ალოლხლებენ მისი სხივები მთელ ბუნებას. ბუნებაც, ეს შესანიშნავი მჭედელი ყოველისფრისა, სდუმდება... მშვენიერი საღამოა. არსაიდან ხმა არ ისმის... ორი ჭაბუკი ნავით მიისწრაფის კუნძულისაკენ. ბაგენი მათნი სდუმან, გეგონებათ — შემთხვევით ერთად მოგზაურნი უნდა იყვნენო. ნამდვილად კი — დიდი ხნის ნაცნობები არიან... მეგობრებიცა... ფიქრით არიან ეს ჭაბუკნი გატაცებულნი. მხოლოდ ხან და ხან ერთმანეთს ეკითხებიან: „საით? რა ადგილებისაკენ? რამდენის ხნით? რა საქმეების გამო?“ მაგრამ ვერც ერთი მათგანი ამ კითხვებზე პასუხს ვერ აძლევს, და ეს იმისთვის, რომ ერთმანერთისა სცხვენიათ... რაღაც გამოურკვეველ შიშით ალვსილი არიან ბუნების ეს ორი შვილი: კუნძულის რუბიკონს უახლოვდებიან და ეს ხომ ყველამ კარგად იცის, რომ ძლიერი გრძნობა საზღვარზე იჩენს ხოლმე თავს...

ჭაბუკნი უკვე კუნძულზე არიან... ამ კუნძულზე მშვენიერი რახილი სცხოვრობს. მისაკენ მიისწრაფებიან ეს ჭაბუკებიც. რახილი—ზეცის სხივია. მან კარგა ხანია აანთო დაუქრობელი ცეცხლი ამ ორ ჭაბუკთა გულში. ის იყო ყოველისფრის პატრონი, რასაც კი ეს ორი ჭაბუკი დაეძებდა. ჭკუა, გული, გრძნობა და სხვ.—აი რით იყო სავსე რახილი... დღეს კუნძულზე რახილისათვის შეტაკებაა. ორი ჭაბუკი ერთმანეთს ებრძვის. ბრძოლის საგანი დ მიზეზი კი რახილია. გამარჯვება ვის დარჩება— ამას რახილი გადასწყვეტს. იარაღი, რომლითაც ეს ორი ჭაბუკი ომობს, ერთგვარი არ არის: ერთი ომობს სიტყვით, მეორე კი—სიჩუმით... ცხოვრება ორივესათვის ამოცანაა და ამ ამოცანას ორივე ერთად იკვლევს. რახილს ჯერ არ გადაუწყვეტია მათი ბედი? მხიარული და მშვიდი ქალი მედგრად სდგას და თავს არ ჰხრის არცერთის წინაშე...

### II

დაღამდა... გათენებას გულის ძგერით მოელიან ჭაბუკნი. არც ერთმა მათგანმა არ იცის, რას მოუტანს მეორე დილა. გათენდა... შეყვარებულთ იშვიათად შეხვედრიათ ასეთი მტანჯველი ღამის გატარება... ერთმა მათგანმა უფრო ადრე გამოიღვიძა. საჩქაროდ ტანთ ჩაიცვა, აივანზე გამოვიდა და შემდეგ რახილთან წავიდა. მას სწყუროდა მისი ხილვა... დაინახა და ბრწყინვალე თვალებში ჩახედა. მას სურს ამოიკითხოს თავისი მომავალი იქ. მაგრამ ამაოდ...

აი ადგა მეორე ჭაბუკიც. გულ-ხელ დაკრეფილი აივანზე დადის. რაღაც დაღვრემილება ეტყობა მის სახეს. არასოდეს არ ყოფილა ის ეგრე შესაბრალებელი: არ იცის ხელახლავ დაიბადება ცხოვრებისათვის, თუ მოჰკვდება... აკვანი და კუბო მის წინ ორივე დგას. მაგრამ რომელს არგუნებს ბედი,—არიცის... რა გრძნობით უცდის რახილის გამოსვლას!.. „როდის გამოვა? წავიდეს თუ არა მასთან?“—ამას ფიქრობს ჭაბუკი. რახილი კი ამ დროს მეორე ჭაბუკთან ერთად აივანზე გამოდის. იგი სდუმს... სდუმან ჭაბუკნიც... ნუ თუ არ უნდა დაირღვეს ეს საშინელი სიჩუმე? ნუ თუ ეს სამი ადამიანი მხოლოდ აჩრდილს-ღა წარმოადგენს? ირღვევა სიჩუმე... ომი იწყება. . ჭაბუკები მხოლოდ ერთი მეორეს ზომავენ, ძალთ იკრეფენ. ეს სიჩუმე— მყუდროებაა...

### III

გრძნობიერება დ დაცინვა — ორი უკიდურესობაა სიყვარულისა და ამ ორი ძალის საშუალებით ჰსურს პირველ ჭაბუკს გამარჯვება. მეორემ კი სულ სხვა საშუალებას მიჰმართა: თავის მოდრეკა, მოწყენილობა, შებრალება, მორჩილება, თაყვანისცემა—აი ის მუსიკა, რომელსაც სიამოვნებით ემორჩილება



მარგარიტა.—სურათი ესტისა.

ყოველი ქალი. რახილიც სიამოვნებით ისმენს ამ გულის სიმთა გამოძახილს და თვითეულს ნაწილს ამ ჰანგისას საპატიო ადგილს უთმობს თავის გულში... იწყება ხანა სიყვარულის გამარჯვებისა და გაბატონებისა ერთისთვის, ხოლო მეორისთვის კი—ხანა დამარცხებისა... პირველი ჭაბუკი სწუხს, მეორე ხარობს...

შესაძლებელია, თუ არა—დაარღვიოს ადამიანმა სხვისი სიხარული მხოლოდ მისთვის, რომ მას არ შეუძლია მისი განაწილება? სჯობს თუ არა მოსპოს ადამიანმა სხვისი სიტკბოება მხოლოდ იმიტომ, რომ თვით მისთვის ურგებია იგი?—აი რაზე ფიქრობს პირველი ჭაბუკი. მას ვერ გამოურკვევია, რა ჰქნას... სიბნელე ეფარება მისს თვალებს, მის წინ უბსკრულია. შეშინებული ჭაბუკი ჰღელავს: სიყვარულის საგანი სამუდამოდ ეკარგება; ეკარგება მასთან ერთად ყოველივე... სიცოცხლე ჰკარგავს მისთვის ფასს...

მეორე ჭაბუკი კი თან და თან თამამობს. იმედი უორკეცდება, ძალა ემატება. გამარჯვების ველი მას რჩება. მას



პროფ. ვასილ პეტრიაშვილი და ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტები—ეკსკურსანტები ქ. ვლადიკავკაზში, იქაურ ქართველ საზოგადოებასთან



ქუთაისის გუბერნიის სამრევლო სკოლების მასწავლებელთა ეკსკურსია.—ეკსკურსანტები ტფილისში.

ჰსურს დაღამებამდის რახილის გულის მოგება და მით ბრძოლის დასრულება. მაგრამ არ შეუძლია; ელის დაღამებას... ასეთი საქმეები უფრო ხშირად ღამით თავდებიან...

### IV

დაღამდა კიდეც... ცა ვარსკვლავებით იჭედება... მაგრამ უეცრად ღრუბლები წამოვიდნენ. აი ელვა და ქუხილიც დაიწყო. კოკისპირული წვიმაც მოდის... ღამე თან და თან უფრო საშიში ხდება... შუაღამეა და საშინელი სიბნელე თან და თან ეფინება კუნძულს... პირველი ჭაბუკი გაშორდა რახილს და თავის ოთახს მიჰმართა. მას სურს მოსვენება, დაწყნარება, ბუნების დაღვრემილება სულს უხუთავს, ნერვებს უშლის... მას უნდა მარტოობა...

მეორე ჭაბუკი კი ამ დროს რახილს უახლოვდება. ორივეს გული საშინლად უცემთ. ვაჟი არღვევს სიჩუმეს.

—აქეთ მოდი, სულო ჩემო, ეუბნება რახილს:—წვიმის წვეთები აქ არ მოგხვდება.

— არა, აქ დავრჩეთ,—ნაზის ხმით უპასუხებს მშვიდი რახილი. ჩვენ აქ მარტო ვართ. არავინ გხვედავს. გარდა ამისა ცეცხლით დამწვარს წყალი სჭირდება: აქ მოგცემ სასმელს უზენაესსა. აქ დავრჩეთ, აქ... ყური დამიგდე როგორ მიცემს გული ჩქარ-ჩქარა?... აქ სინათლეა, ბედნიერება, იქ კი სიბნელე, საშინელება... იმას კი სძინავს... დაათავა ქალმა და ხელი გაიშვირა პირველ ჭაბუკის ოთახისაკენ.

— ჩემო რახილო, მომიახლოვდი. ჩემი სამშობლო, ჩემი დიდება დღეიდან შენ ხარ... მე ახლოსა ვარ... ნუ გეშინიან!...



სიცოცხლის გაზაფხული.—მარმარილოს ქანდაკება შამპეილისა.

აქ, ამ გზა-ჯვარედინზე დაფიქრდი კიდევ: შეგიძლია თუ არა, გინდა თუ არა—ჩემი იყო?

— მე თვით გეკითხები მაგას და მსურს შენთა ბაგეთაგან გავიგონო ამის პასუხი.

— აი აქ არის, რახილო, შენი ნამდვილი ბინა,—ეუბნება ყმაწვილი და გულზე იკრავს რახილს. მოსვენების დროა, რახილო... როგორც გემისთვის ხანგრძლივ გზის შემდეგ ნავთ-სადგურია ადგილი მშვიდი...

ქალმა არ დააცალა სიტყვების გათავება და წყნარის ხმით სთქვა:— ბედნიერებავ! დღეს გამიცვნიხარ. წყდება დღეს ბედი სამი კაცისა. ომი სრულდება... იმარჯვებ შენ... თავბრუ მესხმება... გული მიშფოთავს... ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა ქალი.

აღტაცებულმა ჭაბუკმა ხელი მოჰხვია რახილს და..... ბუნების ძალა კი ამ დროს გრგვინავდა, ღრიალებდა... თითქო აფრთხილებდა შეყვარებულთ, მაგრამ წმინდა სიყვარული ამკობდა მათ... ახლოვდებოდა განთიადი და მასთან ერთად წამი დროების განშორებისა... გათენდა... ქვეყნიერება დაწყნარდა. ცამ მოიწმინდა, მზე აპირებდა ამოსვლას... პირველ ჭაბუკს უეცრად გამოეღვიძა. მისი სულის სიცოცხლე უკვე შეჩერებული იყო...



ტფილისი. შეითანბაზარი. სურათი შამშინოვისა ავტოტიპია „ცნობის ფურცლისა“.

— ყველაფერი ამაოა.—სთქვა მან,— უსიყვარულოდ სიცოცხლე მხოლოდ ტანჯვაა... წამოდგა, ტანთ ჩაიცვა, წყნარად სახლიდან გამოვიდა, ერთხელ კიდევ გადაჰხედა რახილის ბინას და ჩქარის ნაბიჯით მიაშურა თავისს ნავს....

ალ. მდ—ნი.

# ნარევი

ყალბი ფულის მოჭრა ასი წლის წინად. ჩვენს დროში ყალბი ფულის, ბანკის ბილეთების და კუპონების გაკეთება საძნელო არ არის, რადგანაც ეხლა ათას ნაირი გადასაღები და ხამოსასხმელი მანქანები არსებობს, უწინ კი ქაღალდის ფულს ხელით აკეთებდნენ, ხატავდნენ, ამ გვარი შემთხვევები ბევრი ყოფილა პარიზში, და აი ნაპოლეონის პირველის დროს ერთი ექიმი რას მოგვითხრობს ამის გამო ერთს მხატვარზე თავის დღიურში.

ერთი ფრანგი მხატვარი შესანიშნავად თურმე ხატავდა ხუთას ფრანკიან (185 მან.) საბანკო ყალბ ბილეთებს.

პირველი ბილეთი ისეთის მიმსგავსებით და ხელოვნურად იყო გაკეთებული, რომ, როგორც კი მხატვარმა წარადგინა ის ბილეთი ბანკში იმ წამსვე ნაღდი ფული დაუთვალეს. მეორედ და მესამედ გაკეთებულებმაც კარგად ჩაიარეს; მაგრამ ბანკმა მალე შენიშნა ბილეთების სიყალბე და დაიწყეს ძებნა იმ პირისა ვინც ეს ბილეთები შეატყუა.

პოლიცია ყოველთვის ქაღალდის სათამაშო სახლებში აღმოაჩენდა ხოლმე დიდ საქმეებს. ეხლაც აქ დაიწყეს თვალ-ყურის დევნა. ერთს სათამაშო სახლში გაჩნდა ჩვენი მხატვარიც და თამაშობის დროს რამდენიმე ფრანკს ჩამოვიდა, გადაუგდო ბილეთი, რომელიც მაშინვე დაუხურდავეს.

მხოლოდ სახლის პატრონმა, ცოტა არ იყოს ეჭვი აიღო ამ მოთამაშეზე და უბძანა თვალ-ყური ედევნებინათ იმისათვის; ამ გვარად გაიგეს იმის გვარი და ისიც თუ სადა სცხოვრობს.

გადაწყვიტეს, თვალ-ყური ადევნონ, რომ მხატვარმა კიდევ გააკეთოს ბილეთი. ამას დრო უნდოდა, რადგანაც ბილეთის გაკეთებას ბევრი დავიდარაბა უნდოდა და აი ერთ დღეს მხატვარს სტაცეს ხელი, როდესაც ის თავის სახლში მიდიოდა. შევიდნენ იმის სახელოსნოში, სულ გადააქოთეს იქაურობა, მაგრამ ვერაფერი ვერ იპოვნეს.

ფარული პოლიციის ერთმა აგენტმა, ვინმე ვიდოკმა, რომელმაც იმ დღიდან სახელი გაითქვა, დაუწყო მხატვარს თვალებში ცქერა და შენიშნა, რომ ის ხშირად იყურება ბუხრისაკენ. გახხრიკეს ბუხარი და აგურ ქვეშ ნახეს თითქმის გათავებული ბილეთი, სახატი ყალმები, წამლები და ერთი ნამდვილი ბილეთიც, რომლიდანაც ის ყალბ ბილეთებს ხატავდა.

გადასწყვიტეს, რომ დამნაშავე ნაფიცი მსაჯულების სამართალში მიეცათ, მაგრამ ამისი თანხმა არ გახდა ბანკი. ბანკმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ეს საქმე რომ გავახმაუროთ, ამითი მხოლოდ მიმბაძავებს შევქნით, რომ ყალბი ფული მოსჭრანო. ამის გამო ჩვენი მხატვარი საპატიმროში ჩააბძანეს, სადაც სახელმწიფო დამნაშავენი იყვნენ დაპატიმრებულნი.

* * *

ინგლისის საზღვაო კადეტთა არეულობა· ეს რამდენიმე ხანია, ერთს გემზე, რომელზედაც კადეტებს წრთვნიან, კადეტებმა ურჩობა გამოიჩინეს უფროსების წინაშე და რამდენჯერმე დაარღვიეს სამხედრო საზღვაო წეს-რიგი.

ამას წინად ხუთი კადეტი სასტიკად დასაჯეს, რადგანაც გემზე რაღაც წაეხდინათ. მეექვსე კადეტზედაც, სახელად პერსივალზე ეჭვი აიღეს, რომ ისიც ერია იმ ხუთის დანაშაულობაში და შეუდგნენ იმის მოქმედების გამოძიებას.

გაჯავრებულმა პერსივალმა დასჯილ კადეტებთან ერთად შეთქმულობა მოახდინეს, რომ გემის ყველა ოფიცრები დახოცონ.

ახალგაზდა შეთქმულებმა მოილაპარაკეს ერთმანეთში, რომ დანიშნულ დროს მოულოდნელად თავს დაეცნენ ოფიცრებს დანებით და რკინის კეტებით და შემდეგ ზღვაში გადაყარონ.

21 თიბათვეს კადეტებმა გადასწყვიტეს თავის განზრახვის ასრულება

როდესაც რამდენიმე შეამბოხენი ოფიცრების ოთახებისკენ წავიდნენ, პერსივალი მივარდა ერთ ოფიცერს, ლეიტენანტ გერსტას და ზურგში დანა ჩაურჭო. დანა ისე მაგრა ჩასცა კადეტმა, რომ იმან გულ-ღვიძლში გაუარა და გულში გამოვიდა. ლეიტენანტი დაეცა გემზე სისხლში მოსვრილი.

სხვა დანარჩენი ოფიცრების საბედნიეროდ, ის კადეტები, რომლებიც შეთქმულობაში არ ერივნენ, დაერივნენ თავიანთ ამხანაგებს, იარაღი წაართვეს და მალე ყველანი დაატუსაღეს. დაჭრილი ლეიტენანტის მდგომარეობა ძალიან საშიშია.



ბრძოლა არსებობისათვის. „კრუჟოკში“ მოგახშმეთა მიერ ადგილების დაჭერა პურის საჭმელად.

ვახშამი.



1 მდიდარი. საკვირველია, მეხუთე თავს საჭმელსა ვჭამ და მაინც ვერ გავმძღარვარ! ჭია თუ გამიჩნდა მუცელში?

მეორე. ღვთის მადლით ძლივს ერთი სულიერი მაინც იკვებება შენი ხარჯით, ისიც შენ უნებურად.




რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 3 Августа 1902 г. Электропеч' груз. изд. т—ва. (ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა).